

(№8 ოქმს თან ერთვის სხდომის ჩანაწერი)

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს  
2011 წლის 11 თებერვლის სხდომის  
ოქმი №8

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომას, საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის 35 წევრიდან, ესწრებოდა 29. სხდომას უძღვებოდა სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი, პროფ. ჯემალ გახოკიძე.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი (იხ. დანართი) და კენჭისყრაზე დააყენა მისი დამტკიცების საკითხი.

**წარმოდგენილი დღის წესრიგი კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.**

**სპიკერი:** განვიხილოთ დღის წესრიგის პირველი საკითხი – წარმომადგენლობითი საბჭოს შემადგენლობაში ცვლილების შეტანის შესახებ.

**სპიკერი:** მინდა გაცნობით, რომ ბატონმა ტარიელ კვიციანიმა მოგემართა განცხადებით უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის თაობაზე, რაც განპირობებულია იმით, რომ მას, თავის ფაკულტეტზე, დაეკისრა ერთ-ერთი სერიოზული ფუნქცია, კერძოდ, გახდა სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე. მან ჩათვალა, რომ ორივე ფუნქციის შესრულებას ვერ შეათავსებდა და პირადი განცხადების საფუძველზე მიიღო ასეთი გადაწყვეტილება. რეგლამენტის თანახმად, მას შეუძლია ვადაზე ადრე შეიწყვიტოს უფლება-მოვალეობა. მინდა, ბატონ ტარიელს დიდი მადლობა გადაუხადო გაწეული სამუშაოსთვის. ასევე მოგახსენებთ, რომ მის ნაცვლად საბჭოში შემოვა კანდიდატი, რომელმაც შესაბამის არჩევნებში უფლებამოსილება შეწყვეტილი წევრის შემდეგ ხმების უმეტესი რაოდენობა მოაგროვა. ასეთი არის სამშენებლო ფაკულტეტის წარმომადგენელი პროფ. ნოდარ კოდუა.

**სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა პროფ. ნოდარ კოდუას სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრად ცნობის საკითხი, რომელიც ერთხმად დამტკიცდა.**

## ბ ა ლ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 11 თებერვლის №8 სსდომაზე საბჭოს სპიკერმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს შემადგენლობაში ცვლილების შესახებ.

*საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით დამტკიცდა სამშენებლო ფაკულტეტის პროფესორის ნოდარ კოდუას უფლებამოსილების ცნობის საკითხი.*

**სპიკერი:** განვიხილოთ დღის წესრიგის მეორე საკითხი – სტუ-ს „ელექტრონული სწავლების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №390 – მომხსენებელი პროფ. თამარ ლომინაძე.

**პროფ. თამარ ლომინაძე:** მინდა წარმოგიდგინოთ ელექტრონული სწავლების ცენტრის დებულების პროექტი. მოგეხსენებათ, რომ ელექტრონული სწავლება საუნივერსიტეტო საქმიანობის განუყოფელი ნაწილი ხდება და გვინდა ჩამოვაყალიბოთ სისტემა, რომელიც შექმნის საბაზისო ინფრასტრუქტურას ელექტრონული სწავლების დანერგვისათვის. ცენტრის ფუნქცია იქნება შეასწავლოს ელექტრონული სწავლება, რომელიც საკმაოდ ფართო სფერო გახლავთ, მოამზადოს ადამიანური რესურსები, რისთვისაც საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობაა საჭირო. ამისათვის აუცილებელია სწრაფად ავითვისოთ აღნიშნული სფერო და, ზოგადად, სისტემისა და სტრუქტურის შექმნა დაინერგოს ტექნიკურ უნივერსიტეტში.

**პროფ. დავით ჯაფარიძე:** აქ იყო ლაპარაკი დისტანციური სწავლების დანერგვაზე. მაინტერესებს, თქვენ ჩაუდგებით ამას სათავეში?

**პროფ. თამარ ლომინაძე:** ჯერჯერობით ამ ცენტრის ფუნქცია იქნება სისტემის მომზადება.

**პროფ. დავით ჯაფარიძე:** ფინანსები საიდან გექნებათ?

**პროფ. თამარ ლომინაძე:** ელექტრონული სწავლების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი არის თვითდაფინანსებაზე. ჩვენ ვართ ჩართული სხვადასხვა საგრანტო პროექტებში, მათგან ერთ-ერთი პროექტი ამოქმედებულია 2014 წლამდე და აქედანაც გვექნება ფინანსური შემოსავალი.

**პროფ. ზვიად კოვზირიძე:** თქვენ იცით, რომ მსოფლიოში აღიარებული მეცნიერები უპირატესად ინგლისურ ენაზე კითხულობენ ლექციებს. მაინტერესებს, თქვენს პროექტში ხომ არაა რამე ამგვარი დაგეგმილი?

**პროფ. თამარ ლომინაძე:** თუ ჩვენ გავაკეთებთ ბიბლიოთეკას ელექტრონული რესურსით, მაშინ, რა თქმა უნდა, გვექნება ლექციები როგორც ინგლისურ ენაზე, ასევე ქართულ ენაზე, მაგრამ რესურსები უნდა გვქონდეს ფინანსებიდან გამომდინარე.

**სპიკერი:** თუ აღარ გაქვთ შეკითხვები, კენჭი ვუყაროთ წარმოდგენილ საკითხს.

*წარმომადგენლობითმა საბჭომ ერთხმად დამტკიცა სტუ-ს „ელექტრონული სწავლების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის“ შექმნა და მისი დებულება.*

## ბ ა დ ა ვ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 11 თებერვლის №8 სხდომაზე პროფ. თამარ ლომინაძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-სთან არსებული „ელექტრონული სწავლების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2011 წლის 7 თებერვლის დადგენილება №390.

*წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით დამტკიცდა სტუ-ს აკადემიური საბჭოს №390 დადგენილება სტუ-სთან არსებული „ელექტრონული სწავლების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის“ შექმნის შესახებ. ასევე დამტკიცდა ამ ცენტრის დებულება.*

**სპიკერი:** განვიხილოთ დღის წესრიგის მესამე საკითხი – სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დამტკიცება. სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №388;

**სპიკერი:** 7 თებერვალს აკადემიურმა საბჭომ ერთხმად დაუჭირა მხარი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე ქალბატონ ქეთევან ქოქრაშვილის კანდიდატურას. დებულების თანახმად, ჩვენ ფარული კენჭისყრით უნდა გამოვხატოთ ჩვენი დამოკიდებულება წარმოდგენილი კანდიდატურისადმი.

**პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი:** მინდა წარმოგიდგინოთ ჩემი შემდგომი, ოთხწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც თქვენ მიერ დამტკიცების შემთხვევაში ამოქმედდება, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ მე მეკავა ოთხი წლით ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობა, თავს ვაღიქვამ ვთვლი, წარმოგიდგინოთ მცირე ინფორმაცია ჩემი სამსახურებრივი კომპეტენციიდან გამომდინარე. მოგახსენებთ, ზოგადად რა გაკეთდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა სამოქმედო გეგმა და ინფორმაცია გაწეული სამუშაოს შესახებ წარმოადგინა ვიზუალური მასალის თანხლებით.

**პროფ. დავით ჯაფარიძე:** მოგესხენებათ, ტექნიკურ უნივერსიტეტს შემოუერთდა რამდენიმე კვლევითი ინსტიტუტი. ამ პირობებში ძალიან იზრდება თქვენი სამუშაოს მოცულობა. მაინტერესებს, როგორია თქვენი სტრუქტურა, ხართ თუ არა ამისთვის მზად? მართვის თქვენეული რესურსები არის თუ არა საკმარისი უნივერსიტეტის მენეჯმენტის იმ დარგების სამართავად, რომლებიც თქვენ გევალებათ? ასევე მაინტერესებს, ახალ კანონთან შესაბამისობაში როგორ იქნება მოყვანილი თქვენი სამსახური მომავალში?

**პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი:** რაც შეეხება ინსტიტუტებს, სერიოზული სამუშაო არის გასაწევი, განსაკუთრებით რამდენიმე დეპარტამენტში. ესაა ბუღალტერიისა და შესყიდვების განყოფილება, სადაც ძალიან რთულად ხდება სამუშაოს კოორდინაცია, რადგან მოცულობა საგრძნობლადაა გაზრდილი. უახლოეს მომავალში ჩვენ წარმოგიდგინებთ მათ საშტატო განრიგს და ბიუჯეტებს, და იქიდან გამომდინარე უფრო ნათელი გახდება, თუ რა და როგორ უნდა გავაკეთოთ.

**პროფ. გივი გოლეთიანი:** ყველა ჩვენგანმა ამ ოთხი წლის განმავლობაში ვნახეთ ის დინამიკა, რაც გვქონდა უნივერსიტეტში და, აქედან გამომდინარე, მე მიმაჩნია, რომ გატარებული სამუშაო უნდა ჩაითვალოს დადებითად.

**პროფ. ნაომ ბოჭორიშვილი:** ტექნიკურ უნივერსიტეტში გვქონდა შესანიშნავი ტრადიცია: ჩვენს წლოვან პროფესორებს, იუბილესთან დაკავშირებით, ვურიცხავდით გარკვეულ თანხას. მაინტერესებს, ამჟამად გაქვთ თუ არა გათვალისწინებული, რომ შეიქმნას ფონდი მათი წახალისებისათვის?

**პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი:** შეიძლება მაგაზე ფიქრი, როცა გადავალთ კერძო სამართლის სპექტრში, ხოლო რაც შეეხება ამგვარ იუბილესებს, ცხადია, ბევრი ფაკულტეტი თავის ბიუჯეტის მიხედვით გააკეთებს ამას, თუმცა არაერთი იუბილე

ჩატარებულა, რომელშიც მონაწილეობა მიუღია აკადემიურ საბჭოს. თუ ასეთი გადაწყვეტილებები იქნება მიღებული, რა თქმა უნდა, დაფინანსდება კიდევ.

**პროფ. ჯემალ ბერიძე:** ქალბატონო ქეთევან, თქვენს ერთ-ერთ სლაიდზე არის ინფორმაცია პროფესორთათვის სტაბილური ფინანსური გარემოს შექმნის შესახებ. მაინტერესებს, ეს ხომ არ გულისხმობს ემერეტუსის სტატუსის შემოღებას და მისი ანაზღაურების უზრუნველყოფას ახლო მომავალში.

**პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი:** უმაღლესი განათლების შესახებ კანონში შესატანი ცვლილებების პროექტში დევს ემერეტუსის პროგრამა.

**სპიკერი:** ქალბატონო ქეთევან, ბონუსური სისტემის შინაარსის შესახებ იქნებ გვითხრათ რამე.

**პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი:** გასული წლის დეკემბრის მიწურულს აკადემიური საბჭოს სხდომაზე შეიქმნა სპეციალური ჯგუფი, რომელიც ადგენს კრიტერიუმებს, რომლებითაც უნდა განისაზღვროს თუ რა შემთხვევაში და რა მოცულობის ბონუსები მიეცემა ფონდიდან ამა თუ იმ აკადემიურ პერსონას.

**პროფ. დავით ჯაფარიძე:** ბოლო პერიოდში ძალიან ბევრი დადებითი საქმე გააკეთდა ტექნიკურ უნივერსიტეტში, რაც ადმინისტრაციისა და მისი ხელმძღვანელობის დამსახურებაა, ამასთან ერთად რამდენიმე სურვილი და შენიშვნა მინდა გამოვთქვა: პირველი – გეგმა, რომელიც ქალბატონმა ქეთიმ წარმოადგინა, ატარებს სტრატეგიულ ფორმას. ამიტომ მიმაჩნია: ვთხოვოთ რექტორატს, ის ძველი გეგმა, რომელიც ვერ პასუხობდა მოთხოვნებს, მიზნებს და ამოცანებს, გადამუშავდეს და ახლო მომავალში დავამტკიცოთ, ხოლო ქალბატონმა ქეთევანმა ამ გეგმის მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური უზრუნველყოფის პროგრამა წარმოადგინოს. მეორე, ბიუჯეტზე მუშაობის პროცესი და, განსაკუთრებით, პროექტებზე მუშაობის პროცესი დასახვეწია. მიმაჩნია, რომ პროექტებზე უნდა მუშაობდეს დეკანატები და მთელი უნივერსიტეტის ის პერსონალი, ვისაც ეხება პროგრამის შედგენა მთელი წლის განმავლობაში. ბიუჯეტის დამტკიცების მომენტისათვის პროგრამები მზად უნდა იყოს და იქიდან გამომდინარე, თუ რა ფინანსური საშუალებები იქნება, შეარჩიონ პრიორიტეტული პროგრამები, რომელთაც დავამტკიცებთ ბიუჯეტთან ერთად.

**სპიკერი:** მინდა მივმართო საბჭოს წევრებს, საკუთარი აზრი გამოთქვან წარმოდგენილ კანდიდატურასთან მიმართებაში.

**პროფ. ჯემალ ბერიძე:** მინდა წინასწარ განვაცხადო, რომ მხარს დაეუჭერ ქალბატონ ქეთევანის კანდიდატურას. აქვე დავამატებ, რომ ვისაც კი ცოტა მაინც შეეხება აქვს ბიზნესთან, წარმოებასთან, მისთვის გასაგებია, რამდენად დიდ სამუშაოს ატარებს ქალბატონი ქეთევანი და მისი ჯგუფი.

**პროფ. დავით ნოზაძე:** მე დადებითად ვაფასებ და მხარს ვუჭერ წარმოდგენილ კანდიდატურას.

**პროფ. ნაზი კუციავა:** მე, როგორც ქალს, მიხარია რომ ქალბატონი ქეთევანის სახით ძლიერი და კარგი ქალბატონი გვყავს, რომელიც ყველანაირად ასორციელებს ჩვენი უნივერსიტეტის წინსვლის პრინციპებს.

**პროფ. ნოდარ ქაჯაია:** მინდა ხაზი გავუსვა იმ მუშაობის სტილს, რომელიც ჩამოყალიბდა ამ წლების განმავლობაში წარმომადგენლობით საბჭოსა და ქალბატონ ქეთევანს შორის. აქედან გამომდინარე მე ხმას ვაძლევ მას.

**პროფ. ზვიად კოვირიძე:** მინდა გითხრათ, რომ ქალბატონი ქეთი ხასიათდება ძალიან მაღალი პროფესიონალიზმით და მიხარია, რომ ასეთი ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ჰყავს ტექნიკურ უნივერსიტეტს.

**პროფ. ვაჟა პაპასკირი:** მეც მხარს ვუჭერ ქალბატონ ქეთევანს.

**პროფ. ჯუმბერ იოსებიძე:** მიხარია, რომ ქალბატონი ქეთევანი ამ თანამდებობაზე მტკიცდება და, რა თქმა უნდა, დიდი სიამოვნებით ვუჭერ მხარს.

**სპიკერი:** მე მინდა ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს და, საერთოდ, ყველას დიდი მადლობა გადავუხადო იმ თვალსაზრისით, რომ ჩვენს სივრცეში ნელ-ნელა შემოიჭრა და თავისი ადგილი დაიკავა სამართალმცოდნეობამ. ეს მისასაღებელია, რადგან ერთმანეთს ვავსებთ და ქალბატონი ქეთევანი სწორედ ამის ნათელი მაგალითია. ჩვენ ვნახეთ მისი მუშაობა, რომელიც მართლაც, პროგრესულია. დიდი იმედი მაქვს, რომ სამომავლოდაც ტექნიკური უნივერსიტეტი ერთ-ერთი წარმატებული უნივერსიტეტი იქნება და ეს პირდაპირ დაკავშირებულია ადმინისტრაციასთან.

*წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე ერთხმად დამტკიცდა პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი.*

### ბ ა ღ ა ო ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №3

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 11 თებერვლის №8 სხდომაზე წარმოდგენილ იქნა საკითხი სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატურის დამტკიცების შესახებ. სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2011 წლის 7 თებერვლის დადგენილება №388.

*საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე დამტკიცდა პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი.*

**სპიკერი:** განვიხილოთ დღის წესრიგის მესამე საკითხი – სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებისა და სტრუქტურის დამტკიცება. სტუ -ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №389 – მომხსენებელი პროფ. გიორგი ძიძიგური.

**პროფ. დავით ჯაფარიძე:** სახელფასო ფონდში ეს სტრუქტურა არ იყო გათვალისწინებული. ეს ის შემთხვევაა, როდესაც მე მხარს ვუჭერ საშტატო ერთეულის გაზრდას, ამიტომ ჩვენ დადგენილებათა ნაწილში ერთი მუხლიდან მეორეში უნდა გადავიტანოთ ის თანხა, რომელიც საჭირო იქნება ამ კადრებისთვის ხელფასის გასაცემად.

**სპიკერი:** თუ აღარ გაქვთ შეკითხვები, კენჭი ვუყაროთ წარმოდგენილ საკითხს.

*წარმომადგენლობითმა საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება, სტრუქტურა და საშტატო განრიგი.*

### ბ ა ღ ა ო ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №4

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 11 თებერვლის №8 სხდომაზე პროფ. გიორგი ძიძიგურმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებისა და სტრუქტურის დამტკიცების შესახებ. სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2011 წლის 7 თებერვლის დადგენილება №389.

საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით დამტკიცდა სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №389 სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებისა და სტრუქტურის დამტკიცების შესახებ.

**ბ ა დ ა ვ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №5**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 11 თებერვლის №8 სხდომაზე პროფ. გიორგი ძიძიგურმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ.

საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით დამტკიცდა სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ წარმოდგენილი საშტატო განრიგი:

თანამდებობა	საშტატო ერთეულის რაოდენობა	თანამდებობრივი სარგო (ლარი)
ავტორიზაციისა და აკრედიტაციის განყოფილების უფროსი	1	1000
მონიტორინგის განყოფილების უფროსი	1	1000
სტატისტიკისა და ანალიზის განყოფილების უფროსი	1	1000
მთავარი სპეციალისტი	1	550
უფროსი სპეციალისტი	3	500
სპეციალისტი	2	400
სულ	9	5850

აღნიშნულიდან გამომდინარე, ზემოთქმული ცენტრის თანამშრომელთა ანაზღაურების დასაფინანსებლად, დამტკიცებულ სტუ-ს ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვაში და ნაერთ ბიუჯეტში ფასიანი სწავლების გრაფაში, სუფსიდიის მუხლიდან 40 200 ლარი გადატანილ იქნეს შრომის ანაზღაურების ხელფასების მუხლში.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მეხუთე საკითხი – ახალგაზრდა მეცნიერთა და სტუდენტთა ინოვაციურ საქმიანობათა ხელშემწყობი ცენტრის

”ერთად” საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ – მომხსენებელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი: წარმოგიდგენთ საკითხს ახალგაზრდა მეცნიერთა და სტუდენტთა ინოვაციურ საქმიანობათა ხელშემწყობი ცენტრის ”ერთად” საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეხუთე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

## ბ ა დ ა ვ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №6

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 11 თებერვლის №8 სხდომაზე პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი ახალგაზრდა მეცნიერთა და სტუდენტთა ინოვაციურ საქმიანობათა ხელშემწყობი ცენტრის – ”ერთად” საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ.

*საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით დამტკიცდა ახალგაზრდა მეცნიერთა და სტუდენტთა ინოვაციურ საქმიანობათა ხელშემწყობი ცენტრის – ”ერთად” საშტატო განრიგი, წარმოდგენილი სახით:*

- ცენტრის ხელმძღვანელი - 0,5 საშტატო ერთეული;
- უფროსი სპეციალისტი – 1 საშტატო ერთეული;
- სპეციალისტი – 1 საშტატო ერთეული.

*აღნიშნულიდან გამომდინარე, ზემოთქმული ცენტრის თანამშრომელთა ანაზღაურების დასაფინანსებლად, დამტკიცებულ სტუ-ს ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვაში და ნაერთ ბიუჯეტში ფასიანი სწავლების გრაფაში, სუფსიდიის მუხლიდან 17 400 ლარი, გადატანილ იქნეს შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში.*

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მეექვსე საკითხი – პროფესიული განათლების სისტემაში სიახლის დანერგვისა და განხორციელების მიზნით, სტუ-ს მიერ სსიპ - თბილისის პროფესიული სწავლების ცენტრ “სპექტრისათვის” საჭირო ფართის უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის შესახებ – მომხსენებელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი.

**პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი:** ეს გახლავთ პროფესიული სწავლების ცენტრი, რომლის სამართლებრივი ფორმა არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი და რომლის მაკონტროლებელიც გახლავთ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

**სპიკერი:** თუ არ გაქვთ შეკითხვები, კენჭი ვუყაროთ წარმოდგენილ საკითხს.

**სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეექვსე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.**

## ბ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №7

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 11 თებერვლის №8 სხდომაზე პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი პროფესიული განათლების სისტემაში სიახლის დანერგვისა და განხორციელების მიზნით, სტუ-ს მიერ სსიპ - თბილისის პროფესიული სწავლების ცენტრ “სპექტრისათვის” საჭირო ფართობის უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის შესახებ.

*საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით დამტკიცდა საკითხი პროფესიული განათლების სისტემაში სიახლის დანერგვისა და განხორციელების მიზნით, სტუ-ს მიერ სსიპ თბილისის პროფესიული სწავლების ცენტრ “სპექტრისათვის” საჭირო ფართობის უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის შესახებ. აღნიშნული ფართობი განთავსებულია VI სასწავლო კორპუსში 154,1 კვ.მ-ზე (მათ შორის 22,5 დერეფანი).*

**სპიკერი:** განვიხილოთ დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი – არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის ბიუჯეტსა და შესაბამისად, სტუ-ს ნაერთ ბიუჯეტში განსახორციელებელი ცვლილების დამტკიცების შესახებ – მომხსენებელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი.

**პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი:** არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტმა თავის საბჭოს სხდომაზე მიიღო გადაწყვეტილება, რომ ცვლილება შეეტანა თავის ბიუჯეტში. ეს კი ნიშნავს, რომ ცვლილება აისახება როგორც საფაკულტეტო, ასევე ცენტრალურ ბიუჯეტზე.

სპიკერი: თუ არ გაქვთ შეკითხვები, კენჭი ვუყაროთ წარმოდგენილ საკითხს.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

## ბ ა დ ა ო ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №8

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 11 თებერვლის №8 სხდომაზე პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის ბიუჯეტსა და, შესაბამისად, სტუ-ს ნაერთ ბიუჯეტში განსახორციელებელი ცვლილების დამტკიცების შესახებ.

*საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით დამტკიცდა სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის და, შესაბამისად, სტუ-ს ნაერთ ბიუჯეტში განსახორციელებელი ცვლილება, კერძოდ, არაფინანსური აქტივების – სხვა მანქანა-დანადგარების, ელექტრომოწყობილობების, რადიო, სატელევიზიო და საკომუნიკაციო აპარატურის, ავეჯის ხარჯების მუხლიდან 4300 (ოთხი ათას სამასი) ლარი გადატანილ იქნეს ოფისის ხარჯების, საოფისე ტექნიკისა და ინვენტარ-მოწყობილობების ხარჯების მუხლში.*

სპიკერი: მე ხელთ მაქვს ბატონ ლევან კლიმიაშვილის წერილი სასწავლო დეპარტამენტის ცალკეული ქვედანაყოფების სახელწოდებების შეცვლის შესახებ. აქვე გაცნობებთ, რომ ზემოთ აღნიშნული ღონისძიება უნივერსიტეტის დეპარტამენტის სასწავლო განრიგში რაოდენობრივ ცვლილებას არ იწვევს. ლაპარაკია მხოლოდ დანაყოფების დასახელების შეცვლაზე.

სპიკერი: თუ არ გაქვთ შეკითხვები, კენჭი ვუყაროთ წარმოდგენილ საკითხს.

წარმომადგენლობითმა საბჭომ ერთხმად დაამტკიცა საკითხი სწავლების დეპარტამენტში ცალკეული ქვედანაყოფების სახელწოდებების შეცვლის შესახებ.

ბ ა ღ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №9

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 11 თებერვლის №8 სხდომაზე საბჭოს სპიკერმა წარმოადგინა საკითხი სწავლების დეპარტამენტში ცალკეული ქვედანაყოფების სახელწოდებების შეცვლის შესახებ. სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2011 წლის 7 თებერვლის დადგენილება №392.

*საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით დამტკიცდა სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №392 სწავლების დეპარტამენტში ცალკეული ქვედანაყოფების სახელწოდებების შეცვლის შესახებ, კერძოდ, სწავლების პროცესის უფრო ეფექტურად წარმართვის და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან კოორდინირებული თანამშრომლობის მიზნით, სტუ-ს 2011 წლის 4 თებერვლის ბრძანების „სტუ-ს სტრუქტურის ცვლილების შესახებ“ 1-ლ, მე-2 და მე-3 პუნქტებში, შეიცვალოს სწავლების დეპარტამენტის ცალკეული ქვედანაყოფების სახელწოდებები (იხ. დანართი).*

*ასევე, სპეციალისტის 1 საშტატო ერთეული გადაკეთდეს უფროს სპეციალისტად.*

სპიკერმა, პროფ. ჯემალ გახოკიძემ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს აუწყა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა, საბჭოს წევრებს მადლობა გადაუხადა სხდომაში მონაწილეობისთვის და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

სხდომის მდივანი,

სტუდენტი

თამარ ბუზიაშვილი